სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98846268353020

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200064966

რეგისტრაციის თარიღი

22.01.2020 წ

ნოტარიუსი: ლუიზა ცხადაძე
მისამართი: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23
ტელეფონი: 2943164 0790943164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ქალაქი თბილისი, ორიათას ოცი წლის ოცდაორ იანვარს მე, საქართველოს ნოტარიუს ლუიზა ცხადაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23, პირველი სართული, მომმართა საქართველოს მოქალაქემ ბატონმა ალეკო ბერუაშვილმა, რომელმაც განაცხადა რომ არის შპს მედისკა დირექტორი საიდენტიფიკაციო ნომერი: 204852819 წარმოადგენს ამ საზოგადოებას და საზოგადოების სახელით მოითხოვა რწმუნებულების/მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება, რითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ბატონ გიორგი ჯანიაშვილს. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ალეკო ბერუაშვილმა (დაბ. 19.02.1947 წ. დაბადების ადგილი: საქართველო, ცხინვალი, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა, N33, ბ/მ 17ІЬ91182, პირადი #01025003650, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 30.01.2018) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დარწმუნდი რომ ის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, გარიგების შინაარსი და შევადგინე რწმუნებულების/მინდობილობის ტექსტი. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება წარმოდგენილი ამონაწერის საფუძველზე გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18057802, 28/05/2018 13:06:57 და დავრწმუნდი რომ ის ნამდვილად უფლებამოსილი იყო წარმოადგინა შპს მედისკა საიდენტიფიკაციო ნომერი:204852819 და მისი სახელით გაეცა წინამდებარე რწმუნებულება/მინდობილობა. წინამდებარე გარიგებაში ''მარწმუნებელი-მიმნდობი'' ნიშნავს შპს მედისკა საიდენტიფიკაციო ნომერი: 204852819, ხოლო ''რწმუნებული-მინდობილი პირი'' გიორგი ჯანიაშვილს, `მხარეები~ ნიშნავს რწმუნებულს და მარწმუნებელს ერთდროულად. მე მარწმუნებლის-მიმნდობის წარმომადგენელს წავუკითხე და განვუმარტე წინამდებარე რწმუნებულება/მინდობილობა. მარწმუნებლის წარმომადგენელმა პირადად წაიკითხა წინამდებარე რწმუნებულება/მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს საზოგადოების ნებას და იწონებს მას, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ რწმუნებულება/მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბა

ორიათას ოცი წლის ოცდაორ იანვარს, შპს მედისკა საიდენტიფიკაციო ნომერი:204852819, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც მარწმუნებელი-მიმნდობი, რომელსაც წინამდებარე ხელშეკრულებაში წარმოადგენს საზოგადოების დირექტორი ალეკო ბერუაშვილი /რომლის საპასპორტო მონაცემები ზემოთ არის აღნიშნული/ გიორგი ჯანიაშვილს (დაბ. 20.03.1992 წ. დაბადების ადგილი: თბილისი, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი იაკობ გოგებაშვილის I გასასვლელი N25, პირადი #01017033100) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც რწმუნებული-მინდობილობით მოქმედი პირი, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. წარმოადგინოს შპს მედისკა საიდენტიფიკაციო ნომერი:204852819 ინტერესები საქართველოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მათ შორის: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში: ქალაქის მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში და მათ დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში (იურიდიული, სანებართვო, არქიტექტურის, მუნიციპალურ ინსპექციაში და სხვა) აწარმოოს რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ნებართვის მოპოვება და განთავსება, ამ დავალების შესაზრულებლად შეიტანოს განცხადება შპს მედისკა-ს საიდენტიფიკაციო ნომერი: 204852819 სახელით, მიიღოს და გადასცეს დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს ჩემს მაგიერ, მიიღოს ასლები, დუბლიკატები, ზეპირი და წერილობითი ინფორმაციები, ცნობები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც ამ დავალების შესრულებასთან არის დაკავშირებული.
2. რწმუნებულება/მინდობილობა გაცემულია ერთი /01/ თვის ვადით.
3. რწმუნებულს უფლება არა აქვს აღნიშნული რწმუნებულება/მინდობილობა გადასცეს სხვა პირს შემდგომი გადანდობის უფლებით.
4. რწმუნებულება/მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ_ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.
5. რწმუნებულება/მინდობილობა შედგენილია სამ (03) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე. რწმუნებულების ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ლუიზა ცხადაძის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებლის წარმომადგენელს.
6. მარწმუნებელმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური: ათი ლარი, 00 თეთრი /10.00/ საფუძველი: საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, 29 დეკემბერი 2011 წლის ''სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის დამტკიცების შესახებ" 31.7 მუხლის და ასევე 39.1 მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური (2.00) ორი ლარი 00 თეთრი.
7. ამ სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში აქვს დანართი: /01/ ერთი დოკუმენტი, ამონაწერი გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18057802, 28/05/2018 13:06:57

მარწმუნებელი-მინდობი: შპს მედისკა საიდენტიფიკაციო ნომერი:204852819

დირექტორი: /ალეკო ბერუაშვილი/

ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/

საქართველო GEORGIA NOTARY LUIZA TSKHADADZE 01013007817

შეკერილია და დანომრილია

„სამ (03)" ფურცლად

ნოტარიუსი:

საქართველოს

GEORGIA

ნოტარი

NOTA

01013007817